


ԼՂՄԵ
ՅՂՆԹՈՆԵՅՂԿՈ
ԵՄՅԵԼԹՅԿՈ
ԸՆԵՄԵՅԵԼԸ
ԹՂՄԿՈ



**Funded through the Book Translation Program,
U.S. Embassy in Georgia**
**დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს
წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში**

A Theory of Cognitive Dissonance by Leon Festinger published in English by Stanford University Press.

Copyright © 1957 by Leon Festinger, renewed 1985. All rights reserved. This translation is published by arrangement with Stanford University Press, www.sup.org.

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
გარეკანის დიზაინი: ია გაბუნია
კორექტორი: ლიზი ქოპილაშვილი

© **iBooks**

info@ibooks.ge
www.iBooks.ge
FB: IBooks

ISBN: 978-9941-8-7229-7

სარჩევი

.....	2
წინასიტყვაობა.....	7
პირველი თავი. დისონანსის თეორიის შესავალი.....	15
დისონანსის წარმოშობა და მდგრადობა.....	18
დისონანსისა და კონსონანსის განსაზღვრება.....	24
დისონანსის შემცირება.....	34
წინააღმდეგობა დისონანსის შემცირებისადმი.....	41
დისონანსის მასშტაბის საზღვრები.....	45
დისონანსის თავიდან არიდება.....	47
შეჯამება.....	48
მეორე თავი. გადაწყვეტილებათა შედეგები: თეორია.....	51
გადაწყვეტილებები, რომელთა შედეგიც დისონანსია.....	54
გადაწყვეტილების მიღების შემდგომი დისონანსის მასშტაბი.....	57
გადაწყვეტილების მიღების შემდგომი დისონანსის შემცირებისკენ მიმართული ძალისხმევის გამოვლინება ...	63
შეჯამება.....	68
მესამე თავი. გადაწყვეტილებათა შედეგები: მონაცემები.....	71
მონაცემები რეკლამის წაკითხვის შესახებ.....	71
გადაწყვეტილებებში თავდაჯერების ექსპერიმენტი.....	78
ალტერნატივების მიმზიდველობის შეცვლის ექსპერიმენტი	86

გადაწყვეტილების უკან გაწვევის სირთულეები.....	98
გადაწყვეტილების გავლენა მომავალ მოქმედებაზე	105
შეჯამება	112
მეოთხე თავი. იძულებითი თანხმობის ეფექტები: თეორია .	113
იძულებითი თანხმობიდან გამომდინარე დისონანსი.....	118
იძულებითი თანხმობიდან გამომდინარე დისონანსის მასშტაბი	119
„იძულებითი თანხმობის“ დისონანსის შემცირების ძალისხმევის გამოვლენა.....	124
შეჯამება	126
მეხუთე თავი. იძულებითი თანხმობის შედეგები: მონაცემები	129
შეჯამება	156
მექვსე თავი. ინფორმაციის ნებაყოფლობითი და იძულებითი გაცნობა: თეორია	157
შეჯამება	171
მეშვიდე თავი. ინფორმაციის ნებაყოფლობითი და იძულებითი გაცნობა: მონაცემები	173
ინფორმაციის ძიება მოქმედებამდე	174
დისონანსის შემცირება ინფორმაციის ძიების გზით	180
ნებაყოფლობითი აუდიტორიების შერეული მასხასიათებლები	182
რეაქცია ინფორმაციის იძულებით გაცნობაზე	186
დისონანსის წარმატებული წარმოქმნა ინფორმაციის იძულებითი გაცნობით.....	196

ინფორმაციისადმი ღიაობის ექსპერიმენტი.....	201
შედეგები	208
შეჯამება	216
მერვე თავი. სოციალური მხარდაჭერის როლი: თეორია.....	217
სოციალური უთანხმოებიდან წარმოქმნილი დისონანსის შემცირება	221
ფართოდ გავრცელებული ხმების წარმოშობა.....	237
რეალობის უარყოფა	239
საკუთარ რწმენაზე მასობრივი მოქცევა	241
მეცხრე თავი. სოციალური მხარდაჭერის როლი: მონაცემები გავლენის პროცესის შესახებ.....	245
გავლენის პროცესი, რომელიც დისონანსის შემცირებას იწვევს.....	246
დისონანსი, რომელიც გავლენის პროცესის ინიცირებას იწვევს.....	260
მეათე თავი. სოციალური მხარდაჭერის როლი: მონაცემები მასობრივი ფენომენების შესახებ	277
დისონანსის შემცირება ხმების გავრცელების საშუალებით	278
მცდარი შეხედულებების შენარჩუნება.....	288
მასობრივი პროზელიტიზმი	291
მეთერთმეტე თავი. შეჯამება და რეკომენდაციები	307
ზოგიერთი შეხედულება პირადი განსხვავებების შესახებ	313
სტატუსისა და როლის ცვლილების ზოგიერთი ეფექტი ...	319
დისონანსის თეორიის გამოყენების სფეროები.....	323

მთარგმნელისგან

ამ სამყაროში ბევრი რამ არის, რაც ჩვენს ქცევაზე, აღქმასა და ურთიერთობებზე ახდენს გავლენას და უმთავრესად ეს აზრები, შეხედულებები და რწმენაა, მაგრამ საგნები შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს ჩვენი აზრების, შეხედულებებისა და რწმენისგან. სამყარო სავსეა არა მხოლოდ განსხვავებული ადამიანებითა და ფაქტებით, არამედ ყველა სახის საიდუმლოებითა და უჩვეულო ფენომენებით. ჩვენი ამოცანაა, ვისწავლოთ ამ ყველაფრის სხვადასხვა კუთხიდან დანახვა და ყველა შესაძლებლობის გათვალისწინება და არ ვიყოთ „ვიწროშუბლიანები“, ჯიუტები და საკუთარი თავითა და ჩვენი ცოდნით შეპყრობილები. კოგნიტური დისონანსი არის მდგომარეობა, რომელიც ამა თუ იმ ხარისხით ყველა ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ ამის შესახებ და შეგვეძლოს მისი ამოცნობა და აღმოფხვრა. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი მიღება როგორც მოცემულობის. კოგნიტური დისონანსი გარდაუვალია. ეს წიგნი გვასწავლის, როგორ გავუმკლავდეთ მას.

ლენ ფესტინგერის 1957 წლის „კოგნიტური დისონანსის თეორია“ საკვანძო ტექსტია ფსიქოლოგიის ისტორიაში, რომელმაც მისი ავტორი თავისი დროის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან სოციალურ ფსიქოლოგად აქცია. ეს ასევე იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება შემოქმედებითი აზროვნება და პრობლემების გადაჭრის უნარი ისეთი სამუშაოსთვის გაერთიანდეს, რომელიც სამუდამოდ ცვლის იმას, თუ როგორ უდგებიან ადამიანები პრობლემებს.

ძლიერ კრეატიულ მოაზროვნეებს შეუძლიათ, საგნებს ახალი პერსპექტივიდან შეხედონ, ხშირად იმდენად ახლიდან, რომ თვით იმ ჩარჩოებს ესვრიან გამოწვევას, რომელშიც გარშემომყოფები ხედავენ საგნებს. ფესტინგერი ასეთი კრეატიული მოაზროვნე იყო,

წინასიტყვაობა

ეს წინასიტყვაობა ძირითადად იმ ისტორიის ნაწილს შეიცავს, თუ როგორ იზადებოდა იდეები, რომლებიც ამ წიგნის ბირთვს შეადგენს. ქრონოლოგიური ფორმა საუკეთესო გზაა სხვებისგან მიღებული დახმარების სათანადოდ შესაფასებლად (რომელიც მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი იყო) და ამავდროულად იმის განსამარტავად, თუ რა მიმართება აქვს ამ წიგნს იმ მიზნებთან, რომლებიც მის საწყის მოტივაციას წარმოადგენდა.

1951 წლის გვიან შემოდგომაზე ავტორს მიმართა ბერნარდ ბერელსონმა, რომელიც „ფორდის ფონდის“ ქცევათმეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელი იყო, და ჰკითხა, ხომ არ დაინტერესდებოდა იგი „კომუნიკაციისა და სოციალური გავლენის“ მნიშვნელოვანი სფეროს „თეორიული შესწავლით“. ამ სფეროში მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, რომელიც თეორიულ დონეზე არასოდეს არ შესწავლილა. მისი დიაპაზონი მასმედიის გავლენის შესწავლიდან პიროვნებათშორისი კომუნიკაციის კვლევამდე ვრცელდება. თუკი შესაძლებელი გახდება კონცეპტუალური წინადადებების შემუშავება, რომლებიც ამ სფეროში ცნობილ მრავალ ფაქტს ერთმანეთს დაუკავშირებს და რომლებიდანაც დამატებითი მოსაზრებების მიღებას შევძლებთ, ამას ცალსახად ექნება ღირებულება.

აზრი ასეთი თეორიული შეკავშირების მცდელობის შესახებ ინტელექტუალურად ყოველთვის მიმზიდველი და მასტიმულირებელია, თუმცა ყველა, ვინც იმ დროს ამ საქმეში იყო ჩართული, ხვდებოდა, რომ წარმატებით განხორციელების შემთხვევაშიც კი არ უნდა გვქონოდა იმის იმედი, რომ მთელი აღნიშნული სფეროს მოცვა იქნებოდა შესაძლებელი. ის გეგმა, რომელიც სასარგებლო შედეგებს გვპირდებოდა, გულისხმობდა „კომუნიკაციისა და სოციალური გავლენის“ ზოგადი სფეროს შემადგენელი რომელიმე ვიწროდ განსაზღვრული პრობლემით დაწყებას და ჰიპოთეზების ან წინადადებების კონკრეტული ნაკრების ჩამოყალიბებას, რომელიც ადეკვატურად ასახავდა

შეხედულება, რომ საშინელი კატასტროფა მალე მოხდება, სასიამოვნოთა რიგს არ განეკუთვნება, ჩვენ კი დავსვით შეკითხვა, თუ რატომ ჩნდება „შიშის გამომწვევი“ ხმები და რატომ ხდება მათი ფართოდ აღიარება. საბოლოოდ, ამ შეკითხვაზე შესაძლო პასუხი აზრად გვეწვია, ისეთი პასუხი, რომელიც განზოგადების იმედს გვაძლევდა: იქნებ, ეს ხმები, რომლებიც უარეს კატასტროფებს წინასწარმეტყველებდა, „შიშის გამომწვევი“ კი არა, არამედ „შიშის გამამართლებელი“ იყო? სხვა სიტყვებით, მიწისძვრის შედეგად ეს ადამიანები უკვე შემინებული იყვნენ, ხმები კი მათთვის შიშის დასაბუთების ფუნქციას ასრულებდა. შესაძლოა, ხმები ადამიანებს აწვდიდა ინფორმაციას, რომელიც მათ გრძნობებს შეესაბამებოდა.

აქედან დაწყებული და მრავალი განხილვის ხელშეწყობით, რომელთა განმავლობაშიც ჩვენ იდეის მოხაზვას და, გარკვეულწილად, ჩამოყალიბებას ვცდილობდით, დისონანსის კონცეფციასთან და დისონანსის შემცირების ჰიპოთეზასთან მივედით. როგორც კი დისონანსისა და დისონანსის შემცირების კონცეფციები ჩამოყალიბდა, მრავალი ფარული დასკვნა ცხადი გახდა. მათზე მუშაობა მალე პროექტის მთავარ აქტივობად იქცა. გარკვეული დროის განმავლობაში ჩვენ „თეორიული შესწავლის“ საწყის შეხედულებას ვემხრობოდით და, დისონანსის ცნებიდან გამომდინარე, დასკვნების შესწავლას ვცდილობდით, მაგრამ პირველის უკიდურესი სირთულე და უკანასკნელით ჩვენი ინტერესი სულ უფრო მეტად მოითხოვდა ჩვენი ძალისხმევის ფოკუსირებას.

რასაკვირველია, თეორია იმ თანმიმდევრობით არ განვითარებულა, როგორც ეს ამ წიგნშია გადმოცემული. აქ მასალა ისეა მოწოდებული, რომ პირველი თავები შედარებით მარტივ სიტუაციებს ეხება, შემდგომ თავებში კი უფრო რთული პრობლემებია განხილული. ფაქტობრივად დისონანსის თეორიის პირველი დასკვნები ინფორმაციის ნებაყოფლობით თუ უნებლიე მიღებას ეხებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ პირველად ამ მოვლენას შევეჩხეთ, რადგან ის კომუნიკაციის იმ სფეროს უკავშირდებოდა, რომელიც ჩვენ თავიდან გვანტერესებდა. იგივე დასკვნები გამომდინარეობდა თვით ხმების შესწავლიდან. თუ ადამიანები

პირველი თავი. დისონანსის თეორიის მესავალი

ხშირად იგულისხმება, ზოგჯერ კი ხაზგასმითაც აღინიშნება, რომ ადამიანი შინაგანი თანხმობისკენ ისწრაფვის. მაგალითად, მისი შეხედულებები და მიდგომები ჯგუფებად გაერთიანებისკენ მიდრეკილებას ამჟღავნებს. ადამიანი შეიძლება ფიქრობდეს, რომ შავკანიანები თეთრკანიანებივით კარგები არიან, მაგრამ თავის რაიონში მათი ცხოვრება არ სურდეს. ან ადამიანს შესაძლოა მიაჩნდეს, რომ მცირეწლოვანი ბავშვი მშვიდი და თავდაჭერილი უნდა იყოს, მაგრამ, ამის მიუხედავად, სიამაყით აღივსოს, როცა მისი შვილი ენერგიულად იპყრობს ზრდასრული სტუმრების ყურადღებას. ასეთი არათანმიმდევრულობა შესაძლოა, ერთობ დრამატულიც კი იყოს, მაგრამ ჩვენს ყურადღებას უპირატესად იმიტომ იპყრობს, რომ ის მკვეთრად უპირისპირდება თანმიმდევრულობის შესახებ ამოსავალ მონაცემებს. ჭეშმარიტებას წარმოადგენს, რომ შემთხვევათა უმეტესობაში დაკავშირებული შეხედულებები და მიდგომები თანმიმდევრულია. კვლევები ერთიმეორის მიყოლებით გვიჩვენებს, რომ ასეთი თანმიმდევრულობა პიროვნების პოლიტიკურ, სოციალურ და ა.შ. მიდგომაშიც არსებობს.

ასეთივე სახის თანმიმდევრულობა არსებობს იმას, რაც ადამიანმა იცის ან სჯერა, და იმას შორის, რასაც ის აკეთებს. ადამიანი, რომელსაც სჯერა, რომ საუნივერსიტეტო განათლება კარგია, სავარაუდოდ, თავის შვილებს უნივერსიტეტში ჩაბარებისკენ მოუწოდებს; ბავშვი, რომელმაც იცის, რომ ცუდი საქციელისთვის მკაცრად დაისჯება, ასეთ საქციელს არ ჩაიდენს ან ეცდება, რომ ეს შეუმჩნეველად გააკეთოს. რასაკვირველია, ეს სრულებითაც არ არის გასაკვირი. ეს იმდენად ცხადია, რომ ჩვენ ამას, როგორც მართებულს, ისე ვიღებთ. ჩვენს ყურადღებას აქაც სხვაგვარად თანმიმდევრული ქცევიდან გამონაკლისები იპყრობს. ადამიანმა შესაძლოა იცოდეს, რომ მოწვევა ცუდია, მაგრამ მაინც განაგრძობდეს მოწვევას; მრავალი ადამიანი სჩადის დანაშაულს,

იმის მიუხედავად, იცის, რომ დაჭერისა და დასჯის ალბათობა საკმაოდ დიდია.

იმის დაშვებით, რომ თანმიმდევრულობა (შესაძლოა, უმეტესწილად) ჩვეულებრივი რამ არის, იმ გამონაკლისების შესახებ რა უნდა ვთქვათ, რომლებსაც ადვილად ვამჩნევთ? თუკი საერთოდ არსებობს კიდეც, ისინი თვით ადამიანის მიერ მხოლოდ იშვიათად აღიქმება, როგორც *არათანმიმდევრულობა*. ჩვეულებრივ, მეტ-ნაკლები წარმატებით, მათი რაციონალიზების მცდელობებს ვხვდებით. ამგვარად, ადამიანს, რომელიც განაგრძობს მოწევას, თუმცა იცის, რომ ეს ცუდია ჯანმრთელობისთვის, ასევე შესაძლოა მიაჩნდეს, რომ (ა) მოწევით მიღებული სიამოვნება იმდენად დიდია, რომ ეს ამაღ ღირს; (ბ) თავისი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შანსები არცთუ ისე სერიოზულია; (გ) ყოველთვის ყველა შესაძლო საფრთხეს ვერ აიცილებს, მაგრამ მაინც ცოცხალია; და (დ) შესაძლოა, მოწევის შეწყვეტის შემდეგ წონა მოემატებინა, რაც არანაკლებ საზიანოა მისი ჯანმრთელობისთვის. ამგვარად, მოწევის გაგრძელება შეესაბამება მის შეხედულებებს მოწევის შესახებ.

მაგრამ ადამიანები საკუთარი თავისთვის ყოველთვის წარმატებულად ვერ განმარტავენ და ვერ ახდენენ არათანმიმდევრულობის რაციონალიზებას. თანმიმდევრულობის მიღწევის მცდელობა შესაძლოა, ამა თუ იმ მიზეზით წარუმატებელი აღმოჩნდეს. შესაბამისად, არათანმიმდევრულობა კვლავაც განაგრძობს არსებობას. ასეთ ვითარებაში, ანუ არათანმიმდევრულობის არსებობისას, ადამიანი ფსიქოლოგიურ დისკომფორტს განიცდის.

ახლა შეგვიძლია, ის საბაზისო ჰიპოთეზები ჩამოვყალიბოთ, რომელთა განშტოებები და შედეგებიც წიგნის დარჩენილ ნაწილში განიხილება. უპირველეს ყოვლისა, სიტყვას „არათანმიმდევრულობა“ მე ჩავანაცვლებ ტერმინით, რომელიც ნაკლები ლოგიკური კონოტაციის მატარებელია, კერძოდ, *დისონანსით*. ამის მსგავსად, სიტყვას „თანმიმდევრულობა“ ჩავანაცვლებ უფრო ნეიტრალური ტერმინით, კერძოდ, *კონსონანსით*. ეს ტერმინები ფორმალურად მცირე ხანში

განისაზღვრება, მანამდე კი ვცადოთ, ის ნაგულისხმევი მნიშვნელობა გავიგოთ, რომელიც წინა მსჯელობის შედეგად შევიძინეთ.

ის საბაზისო ჰიპოთეზები, რომელთა ჩამოყალიბებაც მსურს, შემდეგია:

1. დისონანსის არსებობა, რაც ფსიქოლოგიურ დისკომფორტს ქმნის, აიძულებს ადამიანს, შეამციროს დისონანსი და კონსონანსს მიაღწიოს.

2. დისონანსის არსებობისას, გარდა მისი შემცირების მცდელობისა, ადამიანი აქტიურად ეცდება, თავი აარიდოს ისეთ სიტუაციებსა და ინფორმაციას, რომელიც, სავარაუდოდ, დისონანსს გაზრდის.

სანამ დისონანსის თეორიისა და მისი შემცირების ძალისხმევის შემუშავებას დავიწყებთ, კარგი იქნება იმის განმარტება, თუ როგორია დისონანსის ბუნება, რა სახის ცნებაა ეს და სად მიგვიყვანს თეორია, რომელიც მას უკავშირდება. ზემოთ ჩამოყალიბებული ორი ჰიპოთეზა ასეთი განმარტებისთვის სათანადო ათვლის წერტილია. იმის მიუხედავად, რომ ისინი კონკრეტულად დისონანსზე მიანიშნებს, ფაქტობრივად ეს ძალიან ზოგადი ჰიპოთეზებია. შეგიძლიათ, „დისონანსი“ ჩაანაცვლოთ ისეთი ანალოგიური ცნებებით, როგორებიცაა „შიმშილი“, „იმედგაცრუება“ ან „უწონასწორობა“, და ჰიპოთეზები აზრს მაინც არ დაკარგავს.

მოკლედ რომ ვთქვათ, მე მიმაჩნია, რომ კოგნიტურობებს შორის შეუსაბამო დამოკიდებულების არსებობა თავისთავად წარმოადგენს მასტიმულირებელ ფაქტორს. ტერმინში *კოგნიტურობა* აქ და მთელი წიგნის განმავლობაში მე ვგულისხმობ ნებისმიერ ცოდნას, შეხედულებას ან თვალსაზრისს გარემოს, საკუთარი თავისა და ადამიანის ქცევის შესახებ. კოგნიტური დისონანსი შეიძლება განვიხილოთ, როგორც წინმსწრები მდგომარეობა, რომელიც დისონანსის შემცირების აქტივობას იწვევს ზუსტად ისევე, როგორც შიმშილი იწვევს ისეთ აქტივობას, რომელიც შიმშილის მოკვლისკენ არის მიმართული. ეს მოტივაციის იმისგან განსხვავებული სახეობაა, რომელთანაც ფსიქოლოგებს აქვთ ხოლმე საქმე, მაგრამ, როგორც ვიხილავთ, არანაკლებ ძლიერია.